დანართი 1

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარსადგენი საბუთების ნუსხა

1. განცხადება სტუ-ის რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით;
2. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (CV);
3. რეფერატი დოქტორანტურაში შესასრულებელი კვლევის მიმართულების შესახებ;
4. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) და დიპლომის დანართი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი ან შესაბამისი უსდ-ის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ცნობა მინიჭებული კვალიფიკაციის შესახებ;
5. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
6. ორი ფოტოსურათი, ზომით 3x4 (სმ), ასევე მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტდისკზე (CD);
7. მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის)
8. მინდობილი პირის მიერ საბუთების წარმოდგენის შემთხვევაში, მინდობილმა პირმა უნდა წარმოადგინოს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.
9. საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაურთოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. ყველა ზემოთაღნიშნული დოკუმენტი დოქტორანტმა აგრეთვე უნდა წარმოადგინოს დეკანატში ნაბეჭდი სახით, სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დამატებითი ინფორმაცია

- უცხო ენის გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს **51** ქულას;
- დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან უნდა გააფორმოს საფინანსო და სასწავლო ხელშეკრულებები და ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის **- 2250** ლარის მინიმუმ ნახევრის **(1125** ლარი**)** გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობა **3** წელია;
- ის პირები, რომლებიც ორი თვის ვადაში არ წარმოადგენენ ჩარიცხვისათვის საჭირო დოკუმენტის დედანს და ასლს (ნაცვლად ცნობისა ან და სხვა), ბრძანება მათი ჩარიცხვის ნაწილში ძალადაკარგულად იქნება ცნობილი.